# კავკასიონი

© ყოველდღიური გაზეთი №54 (68) | პარასკევი, 30 დეკემბერი, 1994 | ფასი 100 000 კუპ ან 300 რუბლი


## აბზაცი

სულ მალე იგივე განმეორდა ჩვენს ორ ავტონომიაში, ამჯერად უკვე გულუბრყვილოდ ჩვენ გაგვიკვირდა სხვების სიჩუმე! რასაკვირველია, „დომინოს ეფექტი“ აქ არ გაჩერებულა და ავტონომიების სეპარატიზმმა შორეული იდეოლოგებისგან დამოუკიდებლად ჩრდილოეთ კავკასიაშიც გადაინაცვლა და თვითონ იწვნიეს ის, რასაც სხვაგან თესდნენ! აქედან გამომდინარე, ასევე გარდაუვალია, რომ ჩეჩნეთის კონფლიქტს „დომინოს ეფექტი“ მოჰყვება და მას საქართველოს მომავალზე სერიოზული გავლენა'ექნება. მაგრამ თუ როგორ სახეს მიიღებს ეს „ეფექტი“ — ცალკე მსჯელობის საგანია.

ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ უვადო შიმშილობა დაიწყო საგამოძიებო იზოლატორში მყოფმა პატიმარმა ომარ ვოქლამაზიშვილმა. იგი დაპატიმრებულია 1992 წლის ოქტომბრიდან თბილისში ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით. რედაქციამ კომენტარისთვის მიმართა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარეს სანდრო კავსაძეს.

ჩეჩნეთში ვითარება არ შეცვლილა, გრძელდება საომარი მოქმედებები. რუსეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, დუდაევი დაპატიმრების შემთხვევაში აღიქმება, როგორც რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედი საშიში დამნაშავე.

90 წელი შეუსრულდებოდა ქართული ფეხბურთის პატრიარქს ანდრო ჟორდანიას, რომლის სახელი ლეგენდად შემორჩა ეროვნული სპორტის ისტორიას.

**დაწვრილებით იხილეთ დღევანდელ ნომერში**

წლის ბოლო კვირა | ინტერვიუ

# პირადულზე მაღლა საქვეყნო საქმე დავაყენოთ

**ქალბატონი ირინა სარიშვილი-ჭანტურია საავადმყოფოდან გამოვიდა და აპირებს, მალე შეუდგეს საქმიანობას. მკითხველისთვის უთუოდ საინტერესო იქნება მასთან საუბარი.**

**— უკვე შეიძლება თუ არა, რომ ჯანმრთელობაზე არაფერი გკითხოთ და ვისაუბროთ თქვენი პოლიტიკური გეგმების შესახებ?**

— ჯანმრთელობის მხრივ ერთადერთი პრობლემაა ტყვია, რომელიც გულთან ახლოსაა. 2-3 თვის შემდეგ შესაძლებელი გახდება მისი ამოღება ორგანიზმიდან, მაგრამ ოპერაციის გაკეთებას არ ვაპირებ და ჩემი ფეხით საერთოდ არ მინდა, მივიდე საავადმყოფოში. მზად ვარ, გავაგრძელო პოლიტიკური მოღვაწეობა, თუ, რა თქმა უნდა, რაიმე მოულოდნელი მიზეზი არ შემიშლის ხელს.

**— იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. გასული წელი დუხჭირი და სისხლიანი აღმოჩნდა ქვეყნისთვის. გთხოვთ, როგორც პოლიტიკოსმა შეაფასოთ წარსული მოვლენები.**

— მახსოვს, 1993 წლის ბოლოს რამდენიმე პოლიტიკოსს დაუსვეს მსგავსი შეკითხვა და, ჩემდა გასაკვირად, მათ იგი შეაფასეს, როგორც მოგების წელიწადი. მიმდინარე წელს, თუ სტატისტიკური თვალსაზრისით განვსაზღვრავთ, ქვეყანას ტერიტორია არ დაუკარგავს და, სამწუხაროა, რომ ქვეყნის სტაბილიზაციის პროცესს ბევრი მხოლოდ აღნიშნული ასპექტით აფასებს. ფიქრობენ, რომ თუ ყველაფერი ერთ ადგილზე დგას და არაფერი ფუჭდება, მიუხედავად იმისა, რომ არც კეთდება რამე, ქვეყანაში სიტუაცია სტაბილურია.

პოპულიზმია იმაზე საუბარი, რომ რადგან ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი და სიდუხჭირეა, სახელმწიფო არ არსებობს. სახელმწიფო კიდეც რომ არსებობდეს, ეკონომიკური რეფორმების დასაწყის ეტაპზე გაჭირვებას გვერდს ვერ ავუვლით. გასულ წელთან შედარებით წელს რეალური ნაბიჯები გადაიდგა რეფორმებისკენ, მაგრამ ვშიშობ, რომ შეიძლება ყველაფერი ნახევარ გზაზე შეჩერდეს და დღემდე მიღწეულის შედეგები ვერც ვიხილოთ, თუ ქვეყნის ბედს მივანდობთ ისევ ამ მთავრობას, რომელმაც რესპუბლიკა დღევანდელ ვითარებამდე მიიყვანა. ბევრი იშველიებს სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებს, მაგრამ ზოგიერთ რეკომენდაციას, რომელიც ვიღაც-ვიღაცეებს ხელს არ აძლევს, რატომღაც გვერდს უვლიან. მთავრობა ყველაფერს სანახევროდ აკეთებს და გასაგებია, თუ რატომ დაეცა მინისტრთა კაბინეტის ნდობის რეიტინგი ნულამდე. ხელისუფლება და, სამწუხაროდ, თავად სახელმწიფოს მეთაურიც ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მოსახლეობის ნდობის ფაქტორს. დღეს რომ ხალხი ქუჩაში არ გამოდის და რადიკალურ ოპოზიციას გვერდით არ უდგას, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ის კმაყოფილია არსებული სიტუაციით. გარდაუვალია სტრუქტურული ცვლილებები ხელისუფლებაში და უკვე აუცილებელია შევეხოთ პერსონებს, რომელთაც გაძარცვეს ქვეყანა და კიდევ უფრო დაამძიმეს სოციალური ვითარება; უნდა შეწყდეს ორდენებით დაჯილდოება და ამ წესით მთავრობიდან ჩინოვნიკების გაშვება; უნდა გამოაშკარავდეს დანაშაული და ხალხს თვალებში შეხედოს დამნაშავემ.

გასულმა წელმა მე უბედურება მომიტანა, ვფიქრობ სახელმწიფოსაც. ჩემთვის რაღაც დამთავრდა, მაგრამ ქვეყანაში ცხოვრება გრძელდება და მაინც იმედი მაქვს, რომ ახალი წელი ახლის დასაწყისის წელი იქნება.



ჯაკარ ლომაძის ფოტო

**— ქალბატონო ირინა, თქვენი იმედი რაიმე კონკრეტულ გეგმებს და მონაცემებს ეფუძნება თუ ეს მხოლოდ სურვილი და შემართებაა?**

— ჩემს ოპტიმიზმს საფუძვლად უდევს კონკრეტული პოლიტიკურ გეგმები. იმედი მაქვს საზოგადოების გამოღვიძების და მხარდაჭერის. ბუნებრივია, დღევანდელი ხელისუფლების შემადგენლობის იმედი არ მაქვს, მაგრამ დღეს იმდენად დიდი უფსკრული გაჩნდა ხალხსა და ხელისუფლებას შორის, იმდენად მოშლილია ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები, რომ ვფიქრობ, მათი მხრიდან კომპრომისული ნაბიჯები გადაიდგმება. თუ ჩემი ვარაუდი არ გამართლდა, მაშინ ვიტყვი, რომ გია ღმერთმა დაითარა და არ ანახა ის უბედურება, რაც საქართველოს მოელის. მჯერა, რომ დაახლოებით თებერვლისთვის ხელისუფლება საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით კომპრომისულ ნაბიჯებს გადადგამს (საუბარი არა მაქვს მხოლოდ ფიზიკურ გადარჩენაზე).

თეთრი ხელთათმანებით საქმე არ გაკეთდება. პასიური, მომლოდინე პოზიცია დანაშაულის ტოლფასია. ქუჩების დაწერაზე ფიქრი და მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით ქმედება გამართლებული იქნებოდა, ჩვენ რომ საფრანგეთში ან ამერიკის შეერთებულ შტატებში ვცხოვრობდეთ. რეფორმების დაწყების პერიოდი აღნიშნული თვალსაზრისით ყველა ხელისუფლებისთვის წამგებიანია. ხელისუფლების წარმომადგენელთა შემცვლელი საქართველოში, სამწუხაროდ, ბევრი არ არის, თუ ისინიც უარს იტყვიან მძიმე მუშაობაზე, ახალ მთავრობაში უცნობი ხალხის მოსვლა საზოგადოების ნდობის ფაქტორს ვერ აამაღლებს და მოხდება ისე, რომ რეფორმების განხორციელებას ხელს შეუშლის თავად ხალხი.

**— რესპუბლიკის მთავრობის მიერ შეთავაზებული წლის ბიუჯეტის პროექტი პარლამენტმა არ დაამტკიცა. არის საუბარი იმის შესახებ, რომ აღნიშნული ფაქტი წინაღობა გახდება მსოფლიო ბანკთან და სავალუტო ფონდთან ურთიერთობისას. თქვენ რას ფიქრობთ?**

— მე არ ვფარავ და პირდაპირ ვამბობ, რომ ეს ბიუჯეტი შეიძლებოდა დამტკიცებულიყო, მხოლოდ არა ამ მთავრობის პირობებში. ეს არ ნიშნავს, რომ პროექტი რეალური იყო. ბიუჯეტის მთავარ ნაკლად მიმაჩნია ის, რომ ძირითადი ნაწილი დაფუძნებულია ჰუმანიტარული დახმარების სახით მიღებულ ფულად რესურსებზე. მასში არ ჩანს პერსპექტივა და მიმართულება. ამ გაგებით ბიუჯეტი, პრაქტიკულად, მკვდარია. თუ ხელახლა დადგა კენჭისყრაზე შემოთავაზებული ბიჯეტის დამტკიცების საკითხი, მის მიღებას ხმას არ მივცემ ერთადერთი მოსაზრებით — მის ჩავარდნას მთავრობის გადადგომა უნდა მოჰყვეს. დღეს მთავრობასთან ბრძოლის სხვა მექანიზმს ვერ ვხედავ. დღევანდელ მთავრობას, რბილად რომ ვთქვა, ვუწოდებდი დილეტანტურ მთავრობას, რეალურად კი ეს მძარცველების ორგანოა. რა თქმა უნდა, ყველა პიროვნებას არ ვეხები, ვხატავ სურათს მთლიანობაში. ასე რომ არ იყოს, შეიძლებოდა დამეჭირა მხარი ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებისთვის, თუნდაც იმიტომ, რომ მართლაც გაგვირთულდება ურთიერთობა მსოფლიოს სავალუტო ორგანიზაციებთან და დონორ ქვეყნებთან. ფაქტი სახეზეა, მილიონობით და მილიარდობით თანხებია დაკარგული უკვალოდ, დამნაშავე კი არ ჩანს. მიმაჩნია, რომ დღეს არსებული მთავრობის მმართველობის პირობებში ჰუმანიტარული დახმარების სახით შემოსული თანხები ისევ უკვალოდ გაქრება,

იხილეთ მე-2 გვ.

## საქართველო



გვატყობინებენ საინფორმაციო სააგენტოებისა და საკუთარი კორესპონდენტები

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ბორის ელცინის განკარგულების თანახმად, 1995 წლის 1 იანვრიდან, ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, 4-ჯერ გაიზრდება გადასახადი რუსეთის გაზის ექსპორტზე. თავდაპირველად ნავარაუდევი იყო გადასახადის გაზრდა 10-ჯერ, მაგრამ რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა ზემოთაღნიშნული ვარიანტი.

## თბილისი

დედაქალაქის ტერიტორიაზე უნებართვო ვაჭრობის აღმოსაფხვრელად, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სისტემატურად ტარდება ღონისძიებები მკაცრი ეკონომიკური სანქციების გამოყენებით. იურიდიული და ფიზიკური პირები, რომელთაც სურვილი აქვთ, მოახდინონ თავიანთი საქონლის წინასაახალწლო საბითუმო ან საცალო რეალიზაცია, ვალდებულნი არიან ვაჭრობა აწარმოონ ქ. თბილისში არსებული 25 ბაზრისა და ბაზრობის ტერიტორიაზე დადგენილი წესების შესაბამისად. ეს ადგილებია: თბილისის რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის მიმდებარე ბაზრობის ტერიტორია ცოტნე დადიანის ქუჩის მხრიდან (ჩუღურეთის რაიონი), სატრანსპორტო გაერთიანების მშენებარე დეპოს ტერიტორიაზე არსებული ბაზრობა თევდორე მღვდლის ქუჩის მხრიდან (დიდუბის რაიონი), მექანიზაციის ქუჩაზე არსებული ბაჭრობის ტერიტორია (ნაძალადევის რაიონი).

ყოველგვარი უსიამოვნებისა და გართულების თავიდან აცილების მიზნით, ქ. თბილისის მერია და მუნიციპალიტეტი თხოვნით მიმართავს ყველა მოქალაქესა და დედაქალაქის სტუმარს, პატივი სცეს და დაიცვას თბილისში მოქმედი წესები.

* * *

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც დასვენების დღე — შაბათი, 31 დეკემბერი — გადატანილ იქნა 1995 წლის 2 იანვარს.

## შიდა ქართლი

29 დეკემბერს ოსურ მხარესთან მოსალაპარაკებლად თბილისიდან ცხინვალს გაემგზავრა ქართული დელეგაცია. მოლაპარაკების თემაა სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში.

გამგზავრებისას ქართული დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, რომ ქართულ-ოსურ მხარეთა ბოლოდროინდელ შეხვედრებზე აშკარად იგრძნობა ოსური მხარის სურვილი, აწარმოოს მოლაპარაკება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადასაჭრელად. მისი აზრით, ამ ტენდენციაზე ერთგვარი გავლენა მოახდინა ჩეჩნეთში მიმდინარე პროცესმა.

\+ + +

დღეს რესპუბლიკა ელექტროენერგიის დიდ ნაკლებობას რომ განიცდის, კარგად უწყის პატარა ლიახვის ხეობის ქართველმა მოსახლეობამ და ითმენენ, მაგრამ... ხეობის ოსური სოფლების დიდი ნაწილი, რომლებიც ხაშურის ენერგოსისტემაში არიან ჩართული, ელექტროენერგიით ბევრად უკეთ მარაგდებიან. თვე გადის, რაც ქართულ სოფლებს ელექტროენერგია არ მიუღიათ. ასეთ სიტუაციაში მოსახლეობის მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ აღარ ფუნქციონირებენ წისქვილები და გლეხკაცი ველარსად დაფქვავს ხორბალს, ქერს, სიმინდს. არადა, შიმშილი კარს არის მომდგარი.

კარგი იქნება, თუ ხაშურის ენერგოსისტემის მესვეურები პატარა ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებს კვირაში რამდენჯერმე, 2-3 საათით მისცემენ ელექტროენერგიას. ამით მოსახლეობა ფიზიკური არსებობის ძირითად პრობლემას მაინც გადაჭრიდა.

## საკოლმეურნეო ბაზრის ფასები

(29 დეკემბრისთვის, რუბლებში)

საახალწლო ნაძვი — 3000-დან — 5000-მდე
ჩიჩილაკი — 2500-დან — 3000-მდე
გოჭი — 40000 (4,5 კგ.)
ინდაური — 60000 (? კგ.)
ქათამი — 10000
საქონლის ხორცი — 6000
ღორის ხორცი — 7000
ყველი (იმერული) — 10000
ყველი (ცხვრის) — 2000
სულგუნი — 30000
ნიგოზი (გასარჩევი) — 8000
ნიგოზი (გარჩეული) — 15000
კვერცხი — 400 (1 ც.)
მჭადის ფქვილი — 1500
პურის ფქვილი — 1500
თაფლი — 8000

კიტრი — 15000
პომიდორი — 8000
ხახვი — 1000
ნიორი — 3000
ჭარხალი — 2500
სტაფილო — 1000
კომბოსტო — 400
ბოლოკი — 600
კარტოფილი — 800-1500
მწვანილი — 500 (100 გრამი)
მჟავე — 800 — 3500
სანელებლები — 500 (1 ჭიქა)
ვაშლი — 1500-2000
მსხალი — 2000
ყურძენი — 5000
მანდარინი — 1500-2000
ფორთოხალი — 3500
ჩირი — 2500




ეკონომიკა

## სოციალურ-ეკონომიკური ინიციატივები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა ვალუტის მიმოქცევის მოწესრიგებისა და კრიმინალურ სამყაროში მისი თავმოყრის თავიდან აცილების მიზნით შემოიღო წესი, რომლის თანახმად ყველა ფიზიკურმა პირმა, ვალუტის შეძენისთანავე, უნდა შეავსოს ბანკის სპეციალური ანკეტა, სადაც იქნება დაფიქსირებული მყიდველის მონაცემები. შემოღებულია აგრეთვე კომერციული ბანკების სავალუტო ოპერაციების ანგარიშგების სისტემა.

* * *

რუსეთში ორგანიზაციებს აეკრძალათ თანამშრომლების ხელფასის, პრემიის, აგრეთვე შრომის სახელშეკრულებო ანაზღაურება უცხოურ ვალუტაში. უცხოურ ორგანიზაციებს, მათ შორის დიპლომატიურ და საერთაშორისო დაწესებულებებს აქვთ უფლება, აუნაზღაურონ ხელფასი ფიზიკურ პირებს უცხოურ ვალუტაში, თუ გადარიცხავენ ამ ვალუტას მათ პირად ანგარიშზე სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ბანკებში.

* * *

ბორის ელცინის ბრძანებულებით განხორციელდა ტელეკომპანია „ოსტანკინოს“ რეორგანიზაცია. ის გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად, რომლის აქციების 51 სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა, 49 ეკუთვნის არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს.

* * *

რუსეთის ეკონომიკის მინისტრის შეფასებით 1995 წლის ინფლაციის დონე დაგეგმილია 2,5-3 -ით თვეში. შინაგანი პროდუქტის მოცულობა 930-1000 ტრილიონი მანეთი, მრეწველობის დაცემა 10-14, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაცემა 10-15. შრომის მინიმალური ანაზღაურება 1995 წლის 1 მარტიდან მიაღწევს 34440 მანეთს. მიმდინარე წელს გადასახადების სახით სახელმწიფომ ვერ მიიღო 4 ტრილიონი მანეთი.

* * *

გერმანელი ექსპერტები მოითხოვენ რუსეთისთვის განკუთვნილი კრედიტების შეჩერებას, რადგან გაზრდილია საბიუჯეტო ასიგნება არარენტაბელური წარმოებისთვის.

* * *

ევროკავშირი გაუწევს დახმარებას რუსეთის პრივატიზებულ საწარმოებს. პირველ ეტაპზე დახმარების ოდენობა იქნება 20 მილიონი დოლარი.

* * *

მრავალი ეკონომისტის აზრით, რუსეთში ფაქტობრივად შეფერხდა ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობა. მთავრობა ცდილობს აღადგინოს კონტროლი ეკონომიკაზე ადმინისტრაციული მეთოდებით, რაზეც მოწმობს მთავრობის გადიდებული ყურადღება კომერციული ბანკების მიმართ.

* * *

რუსეთის შიდა ვალმა 100 ტრილიონი რუბლი შეადგინა, ხოლო საგარეომ 130 მილიარდი დოლარი.

* * *

უკრაინის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტრომ გადაწყვიტა იმპორტის ადმინისტრაციული რეგულირებიდან სატარიფო რეგულირებაზე გადასვლა. მაქსიმალური გადასახადი იმპორტზე შემცირდება 30 პროცენტამდე.

* * *

უკრაინაში შეიქმნა ფულის რეფორმის ჩატარების სახელმწიფო კომისია. მომავალი წლის დასაწყისისთვის დაგეგმილია ეროვნული ვალუტის — გრივნას შემოღება.

* * *

თათრეთმა და უკრაინამ შექმნეს ერთობლივი ნავთობმომპოვებელი კომპანია — თათრეთი შედის ამ კომპანიაში ნავთობის საბადოთი, ხოლო უკრაინა კრემენჩუკის ნავთობგადასამუშავებელი კომპლექსით. აგრეთვე, უკრაინა დაიწყებს ხელოვნური კაუჩუკისა და საბურავების ექსპორტს თათრეთში.

* * *

უკრაინის მთავრობა გეგმავს ნავთობის ტერმინალის მშენებლობას ოდესაში, რაც დიდად შეამცირებს ქვეყნის დამოკიდებულებას ენერგომატარებლების იმპორტზე.

* * *

ყაზახეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადებით 1995 წლის 1 იანვრიდან ყაზახეთში აიკრძალება უცხოური ვალუტის მიმოქცევა.

* * *

1994 წელს ნავთობისა და გაზის მოპოვება აზერბაიჯანში 1993 წელთან შედარებით შემცირდა შესაბამისად 7,5 და 8,5 -ით.

* * *

ესტონეთის ეკონომიკაში საზღვარგარეთის ინვესტიციების საერთო რაოდენობამ შეადგინა 263,66 მილიონი დოლარი. ყველაზე აქტიური ინვესტორები — ფინეთი, რუსეთი, შვეცია, გერმანია — დებენ სახსრებს საბითუმო ვაჭრობაში, ტრანსპორტში, კავშირგაბმულობაში და მრეწველობაში.

# პირადულზე მაღლა საქვეყნო საქმე დავაყენოთ

პირველი გვერდიდან

როგორც 70 მილიონი ეკიუ, დახმარება კი არ გამეორდება.

**— ქალბატონო ირინა, დღეს ყურადღების ცენტრშია ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენები. ზოგიერთი პოლიტიკოსი პირდაპირ აცხადებს, რომ რეალურად დადგა აფხაზეთში ქართველთა დაბრუნების საკითხი. რუსეთშიც შეიცვალა დამოკიდებულება სეპარატისტების მიმართ. თქვენ როგორ აფასებთ შექმნილ ვითარებას?**

— ჩეჩნეთში მოვლენების განვითარების პროცესში მართლაც მართებული იქნებოდა, საქართველოს ხელისუფლებას გადაედგა კონკრეტული ნაბიჯები აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად. შანსი მართლაც რეალური იყო და, ალბათ, უფრო ხელსაყრელი მომენტი არც გვექნება, მაგრამ აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ მთელი ერთი წლის განმავლობაში ხელისუფლებას პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია ძალოვანი სტრუქტურების გაძლიერებისა და ქართული ჯარის შესაქმნელად. მე ვფიქრობ, რომ არა საქართველოს ხელისუფლების მეცადინეობით, არამედ რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით ჩვენ დავიბრუნებთ გალის რაიონს. რუსები, ალბათ, ლამაზ სურათსაც შექმნიან და დაბრუნებულ ტერიტორიაზე შეიყვანენ ქართულ საჯარისო ნაწილებს, მაგრამ ეს არ იქნება აფხაზეთის დაბრუნება. ყოველივე ეს სულ არაფერს ნამდვილად სჯობია და სახელმწიფო ატრიბუტების არარსებობის პირობებში მეტის გაკეთება ნამდვილად შეუძლებელია. მეცინება, როდესაც ზოგიერთი პოლიტიკოსი აცხადებს, რომ გალიდან სოხუმში გამარჯვებული მთავარსარდლის სახელით დაბრუნდება. გავიმეორებ, რომ გალი საქართველოს დაუბრუნდება ისევ რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე.

რამდენიმე ხნის შემდეგ შეიძლება კიდევ იყოს რაიმე ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ ამ ეტაპზე მეტის იმედი არა მაქვს. ვერ შევხედავ მოვლენებს ისეთი არარეალისტურად ოპტიმისტური თვალით, როგორც ამას აკეთებს რესპუბლიკის ყოფილი თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი. მას რომ გაუჩნდა დღეს აზრი აფხაზეთში დარუნების თაობაზე, სავსებით ბუნებრივია და გასაგები ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისთვის, მაგრამ ამას თავის დროზე უნდოდა ფიქრი, რომ ერთი წელი ტყუილად არ დაკარგულიყო და შექმნილიყო ქვეყნის რეგულარული არმია. დღეს ჩვენი ჯარი დეკორატიული გაფორმების სახით რომ შევა აფხაზეთის ტერიტორიაზე, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ხალხს შეიძლება ფსიქოლოგიურად ესაჭიროებოდეს ქართული ჯარის ძალის დანახვა, მაგრამ ინიციატორი ამ აქციისა იქნება რუსეთი და საკონტროლო პაკეტიც მის ხელში აღმოჩნდება.

**— საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კურსი განსაზღვრული და ჩამოყალიბებული იყო. შეიცვლება თუ არა თქვენი სტრატეგია გიორგი ჭანტურიას სიკვდილის შემდეგ და რა ადგილს დაიკავებს პარტია ქართულ პოლიტიკურ სივრცეში?**

— არაფერი შეცვლილა და არც შეიძლებოდა შეცვლილიყო, რადგან გია ჭანტურია დღეს უფრო მეტად ცოცხალია, ვიდრე ზოგიერთი ცოცხალი ლეში. ის, რომ გია ჩვენს გვერდით არ არის, ჩვენი პირადი ტრაგედიაა, სახელმწიფოსთვის კი მისი სიკვდილი შეიძლება ახლის დასაწყისი გახდეს. პარტია დარჩება ისევ ევროპული ორიენტაციის ქრისტიან-დემოკრატიულ ორგანიზაციად. ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული ინტერნაციონალის აღმოსავლეთ ევროპის გენერალური სამდივნოს გადაწყვეტილებით სამდივნოს შტაბ-ბინა დარჩა თბილისში, გენერალური მდივანი კი არის ისევ გია ჭანტურია. რაც შეეხება სტრატეგიულ მიმართულებას, მომავალ არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იბრძოლებს გამარჯვებისთვის. რადიკალური ოპოზიციის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება უცვლელი დარჩა. ზოგჯერ მათი ქმედება უფრო უმაგრებს ხელისუფლების ცუდ ნაწილს მხარს, ვიდრე ამ ნაწილის მომხრეებისა. ჩვენ გამოვალთ ისევ სახელმწიფოს ინტერესებიდან და არა პიროვნული ურთიერთდამოკიდებულებებიდან, რამდენადაც ძნელიც არ უნდა იყოს ეს. მე ამისთვის ფსიქოლოგიურად მზად ვარ. საავადმყოფოში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ვვარჯიშობდი: სესიების ტრანსლაციას ვუსმენდი, ჯაბა იოსელიანის გამოსვლასაც ვუსმინე და უშიშროების სამსახურის თათბირსაც თავიდან ბოლომდე. გარკვეული ნერვების ვარჯიში საავადმყოფოში გავიარე.

ჩემი თავის იმედი მაქვს იმ მხრივ, რომ ჩემში ვერავინ დაინახავს გამწარებულ ქალს. დაინახავს იმ ადამიანს, რომელიც იგივეს კეთებას გააგრძელებს, რასაც ორი ადამიანი — გია ჭანტურია და მე — აქამდე ვაკეთებდით.

იგივე, დამოკიდებულება მექნება პიროვნებების მიმართ, სახელმწიფოს მოწყობის მიმართ და ქვეყნის ხელისუფლებაში ხავერდოვანი ცვლილებების გზით. რაც შეეხება მაფიასთან ბრძოლას, გაგრძელდება ისევე ისე კონკრეტული სახელებისა და გვარების დასახელებით.

ჩვენთან მაფია სტრუქტურული სახით არ არსებობს. მაფიოზური ძალები საკმაოდ ბევრია. ამიტომაცაა, რომ 3 დეკემბრის მოვლენა ხან ერთს უბრალდება, ხან მეორეს და ხან მესამეს. მე პარლამენტის ტრიბუნიდან მკვლელების ძებნას არ ვაპირებ, უბრალოდ, ვიცი, რომ ვისაც ჩვენ ვებრძოდით, ყველა ჩვენი პოტენციური მკვლელია. მათ ერჩივნათ, რომ არც გია ყოფილიყო და არც მე. თუ ხელისუფლებას უნდა, გამოიყენოს ის, რაც მოხდა 3 დეკემბერს, გამოიყენოს არა ერთი, თუნდაც საშინელი ბოროტმოქმედის მოსაცილებლად, არამედ ყველასთვის საუთარი ადგილის მისაჩენად. არ შეიძლება ვინმეს გამოყოფა, რადგან ყველაფერმა ერთად მოიტანა 3 დეკემბერი.

გია ხშირად ამბობდა: ამ ქვეყანაში, ალბათ, უნდა მოხდეს რაიმე თავზარდამცემი, რომ ხალხი უცებ გამოფხიზლდეს და რაღაც ნაბიჯი გადაიდგასო. გიას მკვლელობის შემდგომ დღეებში არ ვიცი რა ხდებოდა გარეთ, მაგრამ, როგორც მითხრეს, ყველას თავზარი დაეცა. ალბათ, ეს თავზარდაცემა საზოგადოებისთვის კარგიცაა, გამოფხიზლების საწინდარია. მთავარია, პარტიას არ დაეცეს თავზარი და განაგრძოს მუშაობა.

**— ქალბატონო ირინა, ახალი წელი მოდის, რას ეტყოდით ხალხს?**

— ყველას ბედნიერ ახალ წელს ვუსურვებ. ეს დღე ოჯახის დღესასწაულია და როგორი გაჭირვებაც არ უნდა იყოს ქვეყანაში, ოჯახებში რაღაც სიხარული მაინც სუფევს. 1994 წელი ყველასთვის ყოფილიყოს უბედურების დასასრულის წელიწადი. ახალი წელია და მაშხალებიც იქნება, სიხარულიც. ზოგს მეტად გაუჭირდება, ზოგს ნაკლებად. საქართველოში დღეს ძალიან ბევრია შავით შემოსილი. ეს ის დროა, როდესაც ყველამ უნდა გაიცინოს და იმედით შეხედოს მომავალს. თუ პოლიტიკოსები შევძლებთ, პირადულზე მაღლა საქვეყნო საქმე დავაყენოთ, ყველაფერი კარგად იქნება. მე არც ჩემი ბედნიერებით შემიწუხებია არავინ და არც უბედურებით ვაპირებ ვინმეს შეწუხებას.

## ფაქტი და კომენტარი

„იბერიას" კორესპონდენტს სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი კერვალიშვილმა აცნობა, რომ მისი ინფორმაციით, უვადო შიმშილობა დაიწყო საგამოძიებო იზოლატორში მყოფმა პოლიტპატიმარმა ომარ კოჭლამაზიშვილმა. იგი დაპატიმრებულია 1992 წლის ოქტომბრიდან თბილისში ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით. საქმის გამოკვლევის პროცესში მასზე მოხდენილი იქნა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება. ასოციაციის აზრით, სასამართლო პროცესი მიმდინარეობს კანონისა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევით, რაც გამოიხატება იმაში, რომ სასამართლო კოლეგია არ აძლევს საშუალებას ო. კოჭლამაზიშვილს დაესწროს სასამართლო პროცესს. სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით 21 დეკემბერს მან დაიწყო უვადო შიმშილობა.

ასოციაცია მოითხოვს სასამართლო კოლეგიისგან ნება დართონ ო. კოჭლამაზიშვილს დაესწროს სასამართლო პროცესს.

რედაქციამ კომენტარისთვის მიმართა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარეს სანდრო კავსაძეს.

# «ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ», —

## აცხადებს სანდრო კავსაძე

თქვენ ითხოვთ კომენტარს საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციის თავმჯდომარის გიორგი კერვალიშვილის განცხადებაზე, რომელიც პატიმარ კოჭლამაზიშვილს ეხება. განცხადებაში ნათქვამია, რომ კოჭლამაზიშვილი არის პოლიტპატიმარი. ეს საკითხი დასაზუსტებელია. რომელმა სამთავრობო, არასამთავრობო, საქართველოს თუ საერთაშორისო ორგანიზაციამ დაადგინა, რომ კოჭლამაზიშვილი პოლიტპატიმარია? ასეთი განსაზღვრება მეტად საეჭვოა და მიზნად ისახავს მხოლოდ კონფრონტაციისა და პოლიტიკური დაპირისპირების გამძაფრებას.

ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის შესახებ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი. სასამართლო ღიაა და მას ესწრება ყველა დაინტერესებული პიროვნება. სასამართლოს ესწრება ჩვენი წარმომადგენელიც. სხვა საქმეა, რომ სასამართლო პროცესი გაჭიანურდა და აქამდეც უნდა დამთავრებულიყო. მხოლოდ სასამართლოს დამთავრების შემდეგ შევძლებთ მივცეთ კვალიფიკაცია — რა ხასიათის იყო ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარი აქტი და რა სახის პატიმრები არიან დაპატიმრებულები. რაც შეეხება შიმშილობას — ეს პატიმრის უფლებაა, თუმცა ჩვენ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში ვერევით ხოლმე ამგვარ საკითხებში და ვცდილობთ მივაღწიოთ, რომ პატიმარმა შიმშილობა შეწყვიტოს. თუ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ ეს შევძელით, მაშინ ეს დიდი მიღწევა იქნება.

**— გაქვთ თუ არა ინფორმაცია პატიმართა წამებისა და მათზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების შესახებ?**

— ამგვარი ფაქტები ძირითადად ბრალდებულთა დაკავების პერიოდზე მოდის. ახლა შეუძლებელია ასეთი ფაქტებისთვის კვალიფიკაციის მიცემა. ჩემი მონაცემებით, დღეს ასეთ ფაქტებს ადგილი არა აქვს. პატიმრები თავადაც იძახიან, რომ ფიზიკური შეურაცხყოფა მათ მიაყენეს დაკავების პერიოდში და არა საგამოძიებო იზოლატორში. პატიმრებს და მათ ადვოკატებს სრული უფლება აქვთ განაცხადონ ამის შესახებ და სასამართლოზევე უნდა გაირკვეს ეს ყველაფერი. ჩვენთვის ცნობილია, რომ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს განსასჯელ გელბახიანს. ამის ჩამდენი დაკავებულია და მიცემულია პასუხისგებაში. ასევე დასჯილია კონტროლიორი, რომელსაც ევალებოდა მსგავს ფაქტებზე კონტროლის დაწესება. ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი წიკლაურის შემთხვევაშიც. ჩვენ პარლამენტის დონეზე გავიტანეთ ეს საკითხი. გამოძიებამ შედეგს ვერ მიაღწია. თუმცა ადამიანურად მე მწამს, რომ ასე ნამდვილად მოხდა, მაგრამ იურიდიულად ეს არ დასტურდება. დანარჩენი ფაქტების შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. მე თავის დროზე შევხვდი ყველა განსასჯელს და ვთხოვე, რომ თუ სიმართლის გარკვევა სურთ, მოგვმართონ ხოლმე განცხადებებით და ჩვენ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში ყველაფერს გავაკეთებთ. ასევე ვთხოვეთ HELSINKI WATSH-ის წარმომადგენლებს, რომ დაესწრონ ხოლმე სასამართლო პროცესებს.

**— როგორც ცნობილია, ვახტანგ ქობალიამ გამოაცხადა შიმშილობა და ითხოვს სახელმწიფოს მეთაურთან შეხვედრას...**

— მე არ მისაუბრია შევარდნაძესთან ამ საკითხზე. ახალ წლამდე შევხვდები ქობალიას და ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შევეცდები, რომ ყველაფერი გადაიწყვიტოს და მოგვარდეს.

## პოლიტიკური ანალიზი

# «დომინოს ეფექტი»

ბავშვობაში ბევრს დაგვილაგებია დომინოს ქვები, შემდეგ კი თითი გვიბიძგებია პირველი მათგანისთვის და გვიცქერია როგორ მწყობრად ეცემოდნენ ისინი. ამგვარი მოვლენის მოწმენი გავხდით პოლიტიკაში ზუსტად 5 წლის წინ, 1989 წლის ბოლოს, როდესაც დომინოს ქვებივით, ერთი-მეორის მიყოლებით ეცემოდნენ კომუნისტური რეჟიმები. ამას პოლიტიკაში ეწოდა „დომინოს ეფექტი", რაც გულისხმობს მეზობელ ქვეყნებში ერთიდაიგივე პროცესების განვითარებას, ხშირად გაუთვითცნობიერებლად. შევეცადოთ გავერკვეთ ამ ახალ მოვლენაში 5 წლის წინ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში დატრიალებული ცნობილი მოვლენების მაგალითზე, როდესაც ცივი ომის დროს წარმოშობილი გეოპოლიტიკური ტერმინი „აღმოსავლეთ ევროპა" უცებ მოძველდა და იქცა „ცენტრალურ ევროპად"!

1989 წელი მეოცე საუკუნის ისტორიაში გარდატეხის წლად მოგვევლინა და დაიწყო ჩამოყალიბება ოცდამეერთე საუკუნეში მსოფლიო ძალთა განლაგების კონტურებმა. მაგრამ სენსაციური მოვლენების თავბრუდამხვევი განვითარების პირველ პუნქტად იქცა არა ბერლინი, როგორც ეს ბევრს მიაჩნია, არამედ ბუდაპეშტი. ვინაიდან საბჭოთა პროპაგანდამ საკმაოდ მიკერძოებულად ასახა კომუნისტური იდეოლოგიის მსხვრევა, შევეცდები მოკლედ შევაჯამო, თუ როგორ ჩანდა ეს დასავლეთში.

1988 წლის შემოდგომაზე უნგრეთში ოფიციალურად დაუშვეს ოპოზიციური პარტიები და უკვე 1989 წლის ზაფხულში მოხერხდა 1956 წლის ანტიკომუნისტური აჯანყების ლიდერის, კომუნისტების მიერ დახვრეტილი იმრე ნადის ცხედრის საზეიმოდ დაკრძალვა, რაც ფაქტობრივად ამ ქვეყანაში არსებული რეჟიმის „დაკრძალვაც" იყო. ამასთან, უნგრეთს დემოკრატიზაციის გზაზე ფეხდაფეხ მისდევდა პოლონეთიც.

შემდეგი ნაბიჯი იყო ავსტრო-უნგრეთის საზღვრის გახსნა და უნგრეთის მხარეს მავთულხლართების მოხსნა. ეს იყო „რკინის ფარდაში" პირველი ბზარი და ამით უნგრელებს საშუალება ეძლეოდათ თავისუფლად ემოგზაურათ ავსტრიაში. მაგრამ ამან სულ მალე მოულოდნელი შედეგი გამოიღო: უნგრეთი ერთ-ერთი იყო იმ რამდენიმე სოციალისტურ ქვეყანას შორის, სადაც გდრ-ის მცხოვრებლებს უფლება ჰქონდათ ემოგზაურათ ვიზის გარეშე. და აი, 1989 წლის აგვისტოში უნგრეთს მიაწყდა მრავალი ათასი აღმოსავლეთ გერმანელი, რომელთა ერთადერთი სურვილი იყო ავსტრიის გავლით გადასულიყვნენ დასავლეთ გერმანიაში!

უნგრეთის მთავრობისთვის შეიქმნა ძალიან რთული სიტუაცია, რომელიც ბოლოს მან ორი აქტით გადაწყვიტა: გდრ-ის მოქალაქეებისთვის შემოიღეს ვიზები, ხოლო ის მრავალი ათასი აღმოსავლეთ გერმანელი, რომელიც უკვე იყო უნგრეთში, 12 სექტემბერს სპეციალური მატარებლების საშუალებით ავსტრიის გავლით ბავარიაში (დასავლეთ გერმანია) გაუშვეს.

ამით თითქოს კრიზისი ამოწურული იყო, მაგრამ სინამდვილეში ზვავი გამოიწვია — კიდევ მრავალი ათასი აღმოსავლეთ გერმანელი დაიძრა უნგრეთისაკენ, ზოგი მატარებლით, ზოგი თავისი პატარა მანქანით, მაგრამ უნგრეთის საზღვარი ჩაკეტილი დახვდათ და აღმოჩნდნენ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე, საიდანაც უარი თქვეს უკან გაბრუნებაზე, ვინაიდან რეპრესიების ეშინოდათ. ჩეხებს უნგრელებისაგან განსხვავებით საერთო საზღვარი აქვთ დასავლეთ გერმანიასთან და ტრაბანტები პირდაპირ იქით გაეშურნენ, სადაც მალე ათეულობით კილომეტრიანი რიგები გაკეთდა; ხოლო სხვებმა კი პრაღაში ფედერაციული გერმანიის საკონსულოს მიაშურეს, სადაც ჯერ ეს შენობა, მერე მისი ეზო, მალე კი ახლომდებარე ქუჩები და ქალაქის ყველა ვაგზლები გაივსო გდრ-ის მოქალაქეებით.

ოქტომბრის განმავლობაში კრიზისი სულ უფრო მძაფრდებოდა, ხოლო თვით გდრ-ში ხალხი ქუჩებში გამოვიდა ადამიანის უფლებათა დაცვის მოთხოვნით. ამ პირობებში აღმოსავლეთ ბერლინში დიდი (უკანასკნელი) სამხედრო აღლუმი გაიმართა, რომელიც ჰონეკერთან ერთად მიიღო საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა გორბაჩოვმა. ჰონეკერმა გორბაჩოვს დაუფარავად სთხოვა ხალხის წინააღმდეგ საბჭოთა ტანკების გამოყენება, ისე როგორც ეს 1953 წლის ივნისში მოხდა, მაგრამ უარი მიიღო — გორბაჩოვმა იცოდა, თუ რა ზიანი მიაყენა მის იმიჯს აპრილში თბილისში ძალის გამოყენებამ, ხოლო შემდეგ, რა აღშფოთებით შეხვდა მსოფლიო ჩინეთის ხელისუფლების მიერ სტუდენტების წინააღმდეგ ტანკების გამოყენებას პეკინში.

ჰონეკერი იძულებული იყო გადამდგარიყო, მაგრამ ამან კომუნისტურ რეჟიმს ვეღარ უშველა და იგი, როგორც ცნობილია, 9 ნოემბერს ხმაურით დაემხო ბერლინის კედლის გარღვევასთან ერთად.

ეს დღე ყველას კულმინაცია ეგონა, მაგრამ „დომინოს ეფექტი" ერთ კვირაში იგრძნეს პრაღაში. აქ, მაშინდელი სტანდარტებითაც კი, ერთ-ერთი ყველაზე რეაქციული კომუნისტური რეჟიმი იყო, რომლისთვისაც თვით გორბაჩოვიც საშიშ „ლიბერალად" ირაცხებოდა. პირველივე მასიურ სახალხო გამოსვლებზე რეჟიმმა ძალის გამოყენება გადაწყვიტა, მაგრამ ბოლო წუთს საღმა აზრმა გაიმარჯვა და ხელისუფლება უბრალოდ გაიპარა, ვინაიდან პრაღის ქუჩებში ყოველდღე უკვე მილიონამდე ჩეხი მოითხოვდა ადამიანის სამოქალაქო უფლებების დაცვასა და დემოკრატიას! „ხავერდოვანი რევოლუცია" — ასე შეარქვეს დემოკრატიის ამ ფანტასტიურ ზეიმს!

„დომინოს ეფექტი" გრძელდებოდა და ნოემბრის ბოლოს, როდესაც მთელი მსოფლიოს ყურადღება პრაღაზე იყო მიპყრობილი, თითქმის ვერავინ შეამჩნია ყველაზე სტაჟიანი კომუნისტური რეჟიმის, ტოდორ ჟივკოვის დამხობა ბულგარეთში. მაგრამ აქ თუ ეს უხმაუროდ მოხდა, შემდეგი „დომინო" უკვე დიდი ხმაურით დაეცა — რუმინეთის სისხლიანმა დიქტატორმა ჩაუშესკუმ ვერაფერი ისწავლა თავისი მეზობლებისაგან და ერთადერთმა, მიმავალ კომუნისტურ რეჟიმებში, ძალა გამოიყენა ადამიანის უფლებათა დაცვის მომთხოვნთა წინააღმდეგ. შედეგიც ლოგიკური და გარდაუვალი იყო — იგი შობა დღეს დახვრიტეს თავის ცოლთან ერთად. ასე სისხლით დამთავრდა სისხლითვე დაწყებული 1989 წელი!

შემდეგი „დომინო", ალბანეთის კომუნისტური რეჟიმი, მომდევნო წელს



დაეცა, თანაც ისევე როგორც იზოლაციონისტური აღმოსავლეთგერმანული — აქაც ათეულ ათასობით ადამიანი მიაწყდა და გადაკვეთა თავისი ქვეყნის საზღვარი იტალიასთან. მაგრამ „დომინოს ეფექტი" ამაზე არ გაჩერებულა, წინ იყო ბალტიისპირეთი — ლიტვა, ლატვია და ესტონეთი. უკვე საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და ბალტიის რესპუბლიკებშიც ეს რეჟიმები ერთიმეორის მიყოლებით დაეცნენ. მაგრამ აქ აღმოჩნდა, რომ მაგიდაზე მეტი „დომინო" აღარ იყო!

მხოლოდ 1991 წლის შემოდგომაზე მოაღწია ჩვენამდე აღმოსავლეთ ევროპული „დომინოს" დაცემის ეფექტმა და ქუჩებსა თუ პრესაში გაისმა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მოთხოვნა. მაგრამ ასეთი განვითარება ბევრს არ აწყობდა და ისედაც გასაქცევად გამზადებული ექსტრემისტ ნაციონალისტთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოეწყო სამხედრო გადატრიალება, რითაც, როგორც ჩანს, ხელისუფლების შეცვლის აფრიკული მოდელი ვამჯობინეთ ბალტიურ მოდელს...

კავკასიაში სხვა „დომინო" გათამაშდა — გარედან დაგეგმილი ეთნიკური კონფლიქტებისა და ავტონომიების სეპარატიზმის ტენდენცია! უნდა ითქვას, რომ ჩვენ თვითონ შევიქმენით ჩვენი უპრინციპობის მსხვერპლი, როდესაც, ერთი მხრივ ყარაბაღში „ვერ შევამჩნიეთ" გარე ძალის მიერ მეზობელი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მცდელობა, სუმგაითში კი არ დავგმეთ ეთნიკური წმენდისა და გენოციდის აშკარა გამოვლინება, რადგან არაფერს ვუწყოდით „დომინოს ეფექტზე"...

სულ მალე იგივე გამეორდა ჩვენს ორ ავტონომიაში, ამჯერად უკვე გულუბრყვილოდ ჩვენ გაგვიკვირდა სხვების სიჩუმე! რასაკვირველია, „დომინოს ეფექტი" აქ არ გაჩერებულა და ავტონომიების სეპარატიზმმა შორეული იდეოლოგებისგან დამოუკიდებლად ჩრდილოეთ კავკასიაშიც გადაინაცვლა და თვითონ იწვნიეს ის, რასაც სხვაგან თესდნენ! აქედან გამომდინარე, ასევე გარდაუვალია, რომ ჩეჩნეთის კონფლიქტს „დომინოს ეფექტი" მოჰყვება და მას საქართველოს მომავალზე სერიოზული გავლენა ექნება. მაგრამ თუ როგორ სახეს მიიღებს ეს „ეფექტი" — ცალკე მსჯელობის საგანია.

არის კი ჩვენთვის მოსალოდნელი სხვა „დომინოს ეფექტის" შეგრძნება? როგორც ჩანს, ეს, ალბათ, გარდაუვალია: საქმე ეხება ცენტრალური („შუა") აზიის კომუნისტურ რეჟიმებს. პირველი „დომინო" იქ, რასაკვირველია, ტაჯიკეთი იქნება. ავღანეთში რუსებს ათი წელი დასჭირდათ, რათა მიმხვდარიყვნენ, რომ მოუგებელ ომს აწარმოებდნენ. ტაჯიკეთში კიდევ უფრო უარესი სიტუაციაა — „მოსკოვის სასაზღვრო პუნქტი" სინამდვილეში ტაჯიკურ ტომებს შორისაა მოთავსებული, ვინაიდან არავითარი ავღანელი ერი არ არსებობს — ეს ქვეყანა შედგება პათანებისაგან (ყველაზე დიდი ეთნოჯგუფი), ტაჯიკებისაგან, ბელუჯებისაგან, უზბეკებისაგან და ა.შ., საზღვარი კი, სრულიად ხელოვნურია, ისევე როგორც ბევრი სხვა საზღვარი ისლამურ სამყაროში!

მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს, და როგორც კი რუსებს მობეზრდებათ შორეულ ტაჯიკეთში თავიანთი ბიჭების უაზრო სიკვდილი და ჯარებს გაიყვანენ იქიდან, ის რეჟიმი ხუხულასავით დაეცემა, როგორც მანამდე ეს ნაჯიბულას რეჟიმს მოუვიდა. ამ შემთხვევაში შეიძლება დაიწყოს „დომინოს ეფექტი" და მას ალბათ მიჰყვებიან სხვა აზიური კომუნისტური რეჟიმებიც.

ჩვენთვის აქ მთავარია, ამ შემთხვევაში გადმოლახავს თუ არა ეს ეფექტი კასპიის ზღვას და იქნება თუ არა მეზობელი აზერბაიჯანი შემდეგი „დომინოს ქვა"? ამას კი უფრო სხვა მოვლენები განსაზღვრავენ, კერძოდ, თურქეთის დამოკიდებულება ევროპის კავშირთან.

თურქეთისადმი საბჭოთა პროპაგანდას საკმაოდ პრიმიტიული დამოკიდებულება ჰქონდა. ეს ქვეყანა წარმოდგენილი იყო, როგორც ცენტრალური აზიის სტეპებიდან მოსული ხალხის მიერ შექმნილი, მას შემდეგ, რაც მათი იმპერია დაარღვიეს „ეროვნულ-გამათავისუფლებელმა ბრძოლებმა". საბჭოთა პროპაგანდით თურქებს იმპერიალისტური „ზრახვები" ამოძრავებდათ ყველა თურქულენოვანი (და არა მარტო თურქულეროვანი) ერის მიმართ! სრულიად უგულებელყოფილი იყო როგორც თურქების ეთნოგენეზისი, ისე მათი უახლესი ისტორია, ყოველ შემთხვევაში ის ვარიანტი, რომელიც 20-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა თურქეთის ოფიციალურ პროპაგანდაში და რომელზეც აღიზარდა რამდენიმე თაობა: სელჩუკი, ხოლო შემდეგ ოსმალო ჯარისკაცები XI-XIV საუკუნეებში ანატოლიაში მივიდნენ უმეტესად თავიანთი ქალების გარეშე და, აქედან გამომდინარე, ადგილობრივ მოსახლეობაში განიცადეს ასიმილაცია (ისევე, როგორც მათმა მონათესავე თანამედროვე აზერბაიჯანელთა წინაპრებმა კავკასიაში). ამიტომ მათ არ შეიძლება მკვეთრად გამოხატული ნოსტალგია ჰქონდეთ ცენტრალური აზიისადმი. ეს ნოსტალგია კიდევ უფრო ნაკლებია, ვიდრე ამერიკელ ზანგებს აქვთ აფრიკისადმი! ხოლო საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის იმპერია შიგნიდან დაანგრიეს სწორედ „ახალგაზრდა თურქებმა" ეროვნული თურქული სახელმწიფოს შექმნის სურვილით. ამ სახელმწიფოს ორიენტაცია პირველმა პრეზიდენტმა მუსტაფა ქემალმა (ათათურქმა) მტკიცედ განსაზღვრა, როგორც „პროევროპული". ასეთ პირობებში, ყოველგვარი ლაპარაკი აზიაში თურქულენოვანი იმპერიის შექმნაზე არ ითვალისწინებს არც ოფიციალური თურქეთის იდეოლოგიას და არც ამ ქვეყნის საზოგადოებრივ აზრს.

გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტებიც: ნაციონალიზმის იდეოლოგია, რომელსაც ათათურქი ეყრდნობოდა, თავისი არსით ევროპული იდეოლოგიაა და ეწინააღმდეგება ისლამის იდეოლოგიას, რომელიც ზეეროვნულია და არ ცნობს სახელმწიფო საზღვრებს. უფრო მეტიც: ათათურქმა 1926 წელს გააუქმა ისლამური წელთაღრიცხვა, 1928 წელს დამწერლობა გადაიყვანა არაბულიდან ლათინურზე, ხოლო სკოლებში შეწყდა არაბულის (ყურანის ენის!) სწავლება, თვით ყურანი კი თურქულ ენაზე და ლათინური ანბანით თურქეთში დაიბეჭდა 1932 წელს, რაც ისლამური ფუნდამენტალისტებისთვის სრულიად მიუღებელი იყო და არის!

თუმცა არსებობს ერთი „მაგრამ": თურქეთს ბუნებრივია ძალიან უნდა გახდეს ევროპის კავშირის წევრი, მით უმეტეს, რომ იგი თავიდან (1949) არის პრესტიჟული ევროსაბჭოს წევრი. მაგრამ ეროვკავშირში თურქეთს არ იღებენ და ეს აშკარად არის ევროსაბჭოს მიერ მიღებული „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის" დარღვევა, ვინაიდან უარს (შენიღბული ფორმით) ეუბნებიან სარწმუნოების გამო. როგორც ცნობილია, გერმანიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში დიდი რაოდენობით არიან თურქი მუშები, რომლებიც თავიანთი სარწმუნოების გამო ასიმილაციას ადვილად ვერ ექვემდებარებიან და ხშირად ქსენოფობიის მსხვერპლი ხდებიან, განსაკუთრებით გერმანიის აღმოსავლეთ მიწებში.

მაგრამ აქამდე ჩაკეტილი ევროკავშირი წელს სამი ახალი წევრით გაიზარდა, უახლოეს ხანში მათ კიდევ სამი-ოთხი აღმოსავლეთ ევროპის და სამი ბალტიის ქვეყანა შეუერთდებათ. ასეთ პირობებში თურქეთისადმი ევროკავშირის წევრობაზე კვლავ უარის თქმას შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს, რაც ამ ქვეყნის პროევროპულ საზოგადოებრივ აზრს სერიოზული გამოცდის წინაშე დააყენებს, დემოკრატიული არჩევნების პირობებში. კი ეს მხოლოდ ხელისუფლების შეცვლით დამთავრდება! ამის შედეგს კი, „დომინოს ეფექტით", პირველ ყოვლისა თურქეთის მოძმე აზერბაიჯანი იგრძნობს.

მაგრამ სწორედ ამ მიზეზის გამო, რათა არ დაუშვას თურქეთში პროაზიური პოლიტიკური ორიენტაციის ჩამოყალიბება და ნავთობით ძალიან მდიდარი აზერბაიჯანის დაკარგვა, დასავლეთი, ალბათ, მაინც საბოლოოდ გაუღებს თურქეთს მისთვის ასე რიგად სასურველ ევროპული კავშირის კარს, თუნდაც ამან უმდიდრესი შვეიცარია კუნძულად აქციოს ევროპის შიგნით! ლოგიკა უბრალოა — შვეიცარია ვერსად გაიქცევა და დიდხანს ვერ შეძლებს ევროკავშირის იგნორირებას, ხოლო „შხითვიანი" აზერბაიჯანს ბევრი „მთხოვნელი" გამოუჩნდება, პირველ ყოვლისა კი ის, ვისგანაც ამ ცოტა ხნის წინ „განქორწინებას" შეეცადა!

ასე რომ, როგორც აღმოსავლეთ ევროპის „დომინოს ქვების" ცვენამ ჩვენამდე უცებ ვერ მოაღწია, ისევე უცებ ვერც შუააზიური მოაღწევს. მაგრამ დაგვიანებით როგორც ერთის შორეული ეფექტი მაინც ვიგრძენით, გვინდოდა ეს თუ არ გვინდოდა, ისევე მეორის ეფექტის გამძაფრებასაც აუცილებლად შევიგრძნობთ ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობისა და მსოფლიო არენაზე მთავარ მოთამაშეთა ახალი განლაგების გამო.

მთავარია, თავს გულუბრყვილოდ ნუ მოვიტყუებთ, რომ დღეს პატარა ქვეყანას შეუძლია მკვეთრად გამოხატული დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება: ყველა კონკრეტულ რეგიონში ხდება არსებული რეჟიმების, ასე ვთქვათ, სტანდარტიზაცია, რისი მთავარი ინსტრუმენტიცაა ე.წ. „დომინოს ეფექტი". და თუ ეს, რასაკვირველია, აღმოსავლეთ ევროპაში ხუთი წლის წინ გათამაშებული მოდელის მიხედვით მოხდა, მაშინ ჩვენ საბოლოო ჯამში ოპტიმიზმი უნდა გამოძრავებდეს.

**რამაზ კლიმიაშვილი**

კავკასიონი
პარასკევი, 30 დეკემბერი, 1994



იუბილე — ვახტანგ დავითაია — 60

პროფესიული პოზიცია: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის არქიტექტურული გეგმარების კათედრის გამგე, პროფესორი, საპროექტო ბიურო-სტუდიის ხელმძღვანელი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი, არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტროს წევრი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის მოსკოვის განყოფილების ნამდვილი წევრი.

საპატიო წოდება: რუსეთის არქიტექტურისა და სამშენებლო მეცნიერების აკადემიის საზღვარგარეთელი წევრი, ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის საპატიო წევრი, მარ დელ პლატას (არგენტინა) სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, მექსიკის ხალისკას შტატის არქიტექტურული კოლეჯის საპატიო პროფესორი, მანსის (ინდიანა, აშშ) ბოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, ბულგარეთის არქიტექტორთა კავშირის საპატიო წევრი, ქ. ფოთისა და ქ. მანსის (აშშ) საპატიო მოქალაქე.

# «კარგი არქიტექტურა სრულყოფს ბუნებას»

**— ბატონო ვახტანგ! გილოცავთ საიუბილეო თარიღს — დაბადებიდან 60 წლისთავს. თუ საიდუმლო ან ჩემი მხრივ უტაქტო შეკითხვა არ არის, ამ თარიღმა რაიმე კორექტივი ხომ არ შეიტანა თქვენს ცხოვრებასა და შემოქმედებაში დამკვიდრებულ პრინციპებში?**

— დიდი მადლობა მოლოცვისათვის. მადლობა იმისთვისაც, რომ თქვენი გაზეთის ფურცლებზე გამოსვლის საშუალება მომეცა. რაც შეეხება 60 წელს, რა თქმა უნდა, წლები, გვინდა თუ არა, გარკვეულად ცვლის ადამიანს. რაც არ უნდა ხშირად და ხმამაღლა ვიძახოთ, ასაკი მემატება, მაგრამ გული არ ბერდებაო, წლებთან ერთად ემოციებს ცვლის გონება და განსჯა. სხვა მხრივ, ჩემი ცხოვრების წესსა და იდეალებში ცვლილებებს ვერ ვამჩნევ, კვლავ შრომაში ვატარებ დღეებს. არ დამიკარგავს რწმენა არც ადამიანებისა და არც საქართველოს კარგი მომავლისა.

**— არქიტექტორთა უმრავლესობა კატეგორიულად უარყოფს ცნებას „ეროვნული არქიტექტურა“. მათ მიაჩნიათ, რომ არქიტექტურა ფუნქციური დარგია. ჯერ კიდევ 1975 წელს ერთი თქვენი კოლეგა წერდა: „იქნებ არ არის საჭირო ამდენი ლაპარაკი „ეროვნულ“ არქიტექტურაზე? უდიდესმა ხუროთმოძღვარმა ლე კორბუზიემ სახლს საცხოვრებელი მანქანა დაარქვა. უზარმაზარ რეაქტიულ თვითმფრინავებს, კომფორტაბელურ მატარებლებს, ოკეანის ლაინერებს, ავტომანქანებს ხომ არ ვთხოვთ ეროვნულ ნიშნებს?..“ ბევრი თვლის, და პირადად მეც ამ აზრს ვიზიარებ, რომ არქიტექტურა ხელოვნების დარგია. თუ იგი მხოლოდ ფუნქციას ემსახურება, როგორღაა იგი ხელოვნება? და თუ ხელოვნებაა, შეიძლება ხელოვნება ეროვნულობის გარეშე?**

— თქვენ არქიტექტურის ერთ-ერთ უმთავრეს და მარადიულ პრობლემას შეეხეთ. ვერც ეს ინტერვიუ გადაწყვეტს ამ საკითხს. მე ჩემს აზრს მოგახსენებთ, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ ცინცხალია ამ პრობლემის გარშემო ამტყდარი ბატალიები, თბილისის დანგრეული ცენტრის რეკონსტრუქციის საკითხის განხილვას რომ მოჰყვა. არქიტექტურის ეროვნულობაზე არა მხოლოდ ცალკეულ არქიტექტორებს აქვთ განსხვავებული აზრი, არამედ ერებს, ქვეყნებს. მცირერიცხოვანი ერები უფრო ფრთხილობენ, ხმალამოღებული იცავენ თავიანთ ისტორიას, კულტურულ მემკვიდრეობას. ეს ბუნებრივია, მაგრამ არის გონივრულობის საზღვრები, რომლის იქეთ „სიფრთხილე“ უგუნურება და დანაშაულია. უნდა განვასხვაოთ გონივრული დამოკიდებულება მონური და დოგმატური დამოკიდებულებისგან.

თბილისის დანგრეული ცენტრის [illegible] სტრატეგიის [illegible] მოწვეულ სხვადასხვა პროფესიულ შეკრებებზე, ნათლად გამოიკვეთა ამ საკითხის მიმართ რამდენიმენაირი მიდგომა. პირველი — ორთოდოქსალური, ანუ დანგრეულის ზუსტი აღდგენის მომხრეებისა, რომელთა მოთხოვნას არავითარი პროფესიული და ლოგიკური საფუძველი არ გააჩნდა და ძირითადად ემოციებს ეყრდნობოდა. მეორენი შენობების პირვანდელი სახით აღდგენას ითხოვდნენ, მაგრამ დასაშვებად მიიჩნევდნენ მათი ფუნქციისა და ინტერიერების ნაწილობრივ შეცვლას. მესამე პოზიცია (სამწუხაროდ, თავდაპირველად ძალზე მცირერიცხოვანთა) გახლდათ ის, რომ არავითარი აზრი არა აქვს განადგურებულის პირვანდელი სახით აღდგენას და „აღდგენა“ უნდა განხორციელდეს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ყოველგვარი სენტიმენტალობის გარეშე. სხვათა შორის, ასეთია დღეს დიდი არქიტექტურული ტრადიციების მქონე სახელმწიფოების პოზიცია



ანალოგიურ სიტუაციებში. ეჭვი შევიტანოთ ბერძნების, იტალიელების, ფრანგების, გერმანელების მემკვიდრეობისადმი უპატივცემლობაში? ჩვენი არქიტექტურული საზოგადოების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მალე დასძლიეს პირვანდელი შოკური მდგომარეობა და თანდათანობით გადაიხარნენ მესამე პოზიციისაკენ. საზოგადოებრივი აზრი უფრო შეუვალი აღმოჩნდა პირველი სკოლის შენობის საკითხის გადაწყვეტისას და სასწრაფოდ დაიწყეს მისი აღდგენა, თუმცა, თუ ამ შენობას მისი ისტორიის გარეშე განვიხილავთ, არქიტექტურული თვალსაზრისით ღირსება არ გააჩნია და თავისი კომპოზიციით ამოვარდნილია საერთო კონტექსტიდან. სკოლის ისტორიის შემონახვა კი ახალ შენობაშიც შესაძლო იყო, მათ შორის, მისი უახლესი ისტორიისაც. პირველი სკოლის თავდაპირველი სახით აღდგენა მაშინაც და ახლაც, დიდ შეცდომად მიმაჩნია. ჩვენ ხელიდან გავუშვით რუსთაველის გამზირის მხატვრული სრულყოფის შესაძლებლობა.

მე, რა თქმა უნდა, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ უმისამართო, ეროვნულობადაკარგული არქიტექტურისა, მაგრამ კიდევ უფრო შეურიგებელი ვარ ტრადიციისადმი მონური, კერპთაყვანისმცემლური დამოკიდებულებისა. მხოლოდ გონივრული განახლებით შეიძლება კულტურული უწყვეტობის პროცესის უზრუნველყოფა. მუდმივი განახლების პროცესი რომ არა, ისტორიული ქალაქები იქცეოდნენ მკვდარ რეზერვაციებად. სხვა საკითხია, რა ტაქტით, რა პროფესიულობითა და რა მხატვრული ძალით იქნება ყოველივე ეს განხორციელებული.

**— ცნობილია გამოთქმა, რომ არქიტექტურა არის სივრცის ორგანიზაცია. ასევე არსებობს გამოთქმაც — არქიტექტურის კონფლიქტი ბუნებასთან. ურბანიზაციის პერიოდში უმოწყალოდ ნადგურდება ბუნება, იჩეხება ტყე, ირღვევა ლანდშაფტი. ამიტომაც ამბობენ ხშირად, რომ „არქიტექტორი ამახინჯებს ბუნებას“. თქვენი აზრით, რა არის საჭირო იმისთვის, რომ არქიტექტორმა, პირიქით, გაალამაზოს ბუნება?**

— თუ ბოლო 50-60 წლის პრაქტიკით ვიმსჯელებთ, „არქიტექტორი, ნამდვილად ამახინჯებს ბუნებას“, მაგრამ ეს არ არის არქიტექტურის ობიექტური კანონზომიერება. პირიქით, კარგი არქიტექტურა სრულყოფს ბუნებას. ერთი წუთით წარმოიდგინეთ გარემო მცხეთის ჯვარის, ალავერდის ტაძრის, ხერთვისისა და ანანურის ციხეების გარეშე. არქიტექტურა, განსხვავებით ხელოვნების სხვა დარგებისგან, უშუალოდ „მიბმულია“ ეკონომიკასთან. ტოტალიტარულ სახელმწიფოში, გარკვეულ მიზეზთა გამო, არქიტექტურა არ ვითარდება. ქალაქების, სოფლებისა და საცხოვრებელი რაიონების ერთფეროვნება-გაუსახურება პირდაპირი შედეგია არქიტექტურაზე სახელმწიფო ძალადობისა.

ახალმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ურთიერთობამ, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფვით, არქიტექტურული პროცესიც ბუნებრივი გზით უნდა წარმართოს, რაც იმის გარანტიაც იქნება, რომ არქიტექტურა არ დაამახინჯებს ბუნებას.

**— არქიტექტურის ენა ნათელია. მას ლიტერატურული ნაწარმოებივით როდი ჭირდება თარგმნა, ან მუსიკასავით შესრულება. თბილისში (და, საერთოდ, ყველა ქალაქში) ჩამოსული სტუმარი ქართველი ერის ნიჭიერებაზე დასკვნებს, პირველ რიგში, არქიტექტურითა და ქანდაკებებით აკეთებს. თქვენ თუ შეგიხედავთ უცხოელის თვალით თბილისისთვის და თუ შეგიხედავთ, რა შთაბეჭდილება მოუხდენია თქვენზე?**

— თქვენ სწორი ბრძანდებით. არქიტექტურა ადამიანზე უშუალო ზემოქმედებას ახდენს და ამავე დროს, იგი მძლავრი იდეოლოგიური ფენომენია. ეს კარგად იცოდნენ ფარაონებმაც, ტირანებმაც და იციან თანამედროვე პრეზიდენტებმაც. ეგვიპტის პირამიდებმა გაცილებით მეტი გააკეთეს ფარაონების უკვდავსაყოფად, ვიდრე მათმა ლეგიონებმა. თანამედროვე გონიერ პრეზიდენტებსაც აქვთ თავიანთი „არქიტექტურული პროგრამები“. მათ იციან, რომ არქიტექტურა მათი უკვდავების ყველაზე მყარი გარანტიაა. რა თქმა უნდა, შემიხედავს თბილისისთვის უცხოელის თვალით; მე მომწონს თბილისის ისტორიული ბირთვი, მზარავს თანამედროვე საცხოვრებელი რაიონები.

**— რაიმე პროფესიული ნატვრა თუ გაქვთ?**

— რა თქმა უნდა. ჩემი დიდი ნატვრაა, სვანეთის ისეთი სახით აღდგენა, როგორიც იგი იყო, თუნდაც ჩვენი საუკუნის დასაწყისში. მე მხედველობაში მაქვს გარეგნული სახე და არა ცხოვრების წესი, საყოფაცხოვრებო პირობების დონე. სვანეთი საერთო საკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლია, რომელიც, სამწუხაროდ, ყოველდღიურად კარგავს თავისთავადობას.

ესაუბრა
ნათია ფანჯიკიძე

თეატრი

## „სიკვდილი ნახტომებით და დეკორით“

28 დეკემბერს „მარგო კორობლიოვას პერფორმანსის თეატრმა“ წარმოადგინა თავისი პირველი სპექტაკლი „სიკვდილი ნახტომებით და დეკორით“. თეატრმა სპექტაკლზე იმუშავა ღია რეჟისურის სტრატეგიით, ანუ დასის ყველა წევრი ღებულობდა მონაწილეობას დადგმაში.

პიესა შედგენილია სპონტანურად, სხვადასხვა ლიტერატურული წყაროს გამოყენებით („ათას ერთი ღამე“, ჰენრიკ იბსენის „ხალხის მტერი“, ბერნარდ შოუს „კეისარი და კლეოპატრა“, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის „ტანის ფილოსოფია“, პიტერ ბრუკის „ცარიელი სივრცე“, შარლ პეროს „წითელქუდა“, ავტორთა ჯგუფის მიერ შედგენილი „პატარა მოთხრობები დიდ კოსმოსზე“).

ალბათ, ყველაზე საინტერესო იყო, თუ რა როლს ასრულებდა კონტექსტში „წითელქუდა“. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჩამოთვლილ ნაწარმოებთაგან თვით ყველაზე დაკვირვებული მაყურებელიც კი ვერც ერთს ვერ შეიცნობდა.

თუმცა პიესას პრეტენზია არცა აქვს შინაარსზე და არც ამბების მთხრობელის ფუნქციას კისრულობს. სამაგიეროდ აქვს მიზანი, წარმოაჩინოს ზერეალობა, თავისებურად დაგვანახოს სიკვდილი და მაყურებელი მოაქციოს ერთგვარ მისტიურ გარემოში.

მსახიობები, რაღა თქმა უნდა, მეტად რთულ საქმეს შეეჭიდნენ. მოაქცია მაყურებელი ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ, ბევრად უფრო რთული და დიდი ხელოვნებაა, ვიდრე, უბრალოდ, საინტერესო ამბის მოყოლა. ყოველგვარ შინაარსს მოკლებული პიესით აბსტრაქტული დრამის შექმნა შეუძლებელია, მით უმეტეს, როცა ხელს არ გიწყობს არც ინტერიერი, არც ფინანსური მდგომარეობა შესაფერი კოსტიუმების შექმნისთვის.

თავისთავად, ახალი თეატრის დაარსება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ქართულ კულტურაში. მით უმეტეს, რომ „მარგო კორობლიოვას თეატრი“ მეტად რთულ საქმეს — სრულიად ახალი, სრულიად თანამედროვე და არატრადიციული სახის შექმნას ცდილობს.

# ჩეჩნეთი — საომარ მოქმედებათა ქრონიკა

რუსეთის ჯარები კვლავ მიიწევენ გროზნოსაკენ. მათ დაიკავეს უდიდესი სამხედრო აეროდრომი. რეაქტიულმა თვითმფრინავებმა დაბომბეს არღუნი, იბომბება გროზნოს მიმდებარე სხვა ტერიტორიები. თუმცა, ოფიციალური მოსკოვი უარყოფს ამ ფაქტს.

\+ + +

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს შინაგანი ჯარების ქვედანაყოფების შტაბის და რუსეთის მთავრობის პრესცენტრის ცნობით გუშინ 5 საათსა და 30 წუთზე საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს ჩეჩენ ბოევიკთა რაზმებს, რომლებიც ცდილობდნენ, გაერღვიათ რუსეთის შეიარაღებული ძალების რკალი. გარღვევის მცდელობა განხორციელდა გროზნოს მიმდებარე რაიონების თითქმის მთელ პერიმეტრზე. საბრძოლო მოქმედებების შედეგად ბოევიკთა რაზმები გაიფანტნენ, მათი ჯავშანტექნიკის დიდი ნაწილი კი განადგურდა.

\+ + +

„გროზნოს ზოგიერთ რაიონში რუსეთის ჯარებმა უკვე გადაკვეთეს ქალაქის საზღვრები, მაგრამ საუბარია არა ჩეჩნეთის დედაქალაქის შტურმზე, არამედ მის გაწმენდაზე უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისაგან“, განაცხადა პრესკონფერენციაზე რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ოლეგ ლობოვმა.

\+ + +

თუ დუდაევის დატყვევება მოხერხდა, მას გაასამართლებენ, როგორც რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე დანაშაულთა ჩამდენ პიროვნებას. მის მიმართ გამოყენებული იქნება რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის ნორმები და რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულება „ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“. ამის შესახებ ჟურნალისტებს პრესკონფერენციაზე ამცნო რუსეთის კონტრდაზვერვის ფედერალური სამსახურის დირექტორის მოადგილემ ვალენტინ სობოლევმა.

\+ + +

„ჩეჩნეთი კვლავაც რჩება ძალზე რთულ საშინაო პრობლემად რუსეთისათვის“, განაცხადა აშშ-ს დეპარტამენტის წარმომადგენელმა მაიკლ მაკკერიმ. ეს იყო მისი პასუხი კითხვაზე, თუ „რა შედეგებს მოუტანს ომის კურსი მყიფე დემოკრატიას“.

„ჩეჩნეთის პრობლემამ რუსეთში განსაკუთრებული წინააღმდეგობებით აღსავსე მსჯელობა და ცხარებული დებატები გამოიწვია, — აღნიშნა მაიკლ მაკკერიმ, — ასეც უნდა იყოს დემოკრატიის პირობებში“.

\+ + +

8 დეკემბრიდან დღემდე რუსეთის ფედერაციის საემიგრაციო სამსახურის მიერ რეგისტრირებულია 36963 ლტოლვილი. აქედან ინგუშეთმა მიიღო 25683 ადამიანი, დაღესტანმა — 6995, სტავროპოლის მხარემ — 2117, ოსეთმა — 1097, კრასნოდარის მხარემ — 509, ყაბარდო-ბალყარეთმა — 292, ყარაჩაი-ჩერქეზეთმა — 270.

\+ + +

რუსეთის მთავრობის პრესსამსახურის ცნობით, გუშინ „ჩეჩნეთის უკანონო შეიარაღებული ფორმირებები პირველად შეეცადნენ სატანკო გარღვევის განხორციელებას. მათ შეუტიეს 129-ე მოტომსროლელი პოლკის პოზიციებს, მაგრამ შეტევა მოგერიებულ იქნა. რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფებმა ხელთ იგდეს 6 ტანკი, 6 ქვემეხი და 1 ჯავშანტრანსპორტიორი. გარღვევის მცდელობაში მონაწილეობას იღებდა დუდაევისადმი პირადად დაქვემდებარებული 200-მდე სნაიპერის შაშხანებით შეიარაღებული ბოევიკი.

\+ + +

რუსეთის ფინანსთა სამინისტროში ფიქრობენ, რომ 1995 წლის ბიუჯეტიდან რუსეთის თავდაცვის სამინისტრო დამატებით მოითხოვს იმ ღონისძიებათა დაფინანსებას, რაც დასჭირდება ჩეჩნეთში წესრიგის აღდგენას. სავარაუდო თანხად 3,5 ტრილიონ რუბლს ასახელებენ.

რუსეთის ფინანსთა სამინისტროს თავდაცვითი კომპლექსის ხელმძღვანელის ვლადიმერ გრუდნოვის აზრით, ეს ძალზე მნიშვნელოვანი თანხაა და საჭირო გახდება სახელმწიფო სათათბიროსთვის წარდგენილი ბიუჯეტის პროექტის კორექტირება.

## მოკლედ

### იტალია

იტალიის პრემიერმინისტრი სილვიო ბერლუსკონი, პრეზიდენტ ოსკარ ლუიჯისთან მოლაპარაკების შემდეგ, გამოვიდა მოწოდებით, რომ გაგრძელდეს ხელისუფლების შერჩევის პროცესი.

თავად ბერლუსკონი ხელისუფლებიდან წასვლას აპირებს. მან განაცხადა, რომ შეუძლია ისეთი პრემიერმინისტრის აღმოჩენა, რომელიც უხელმძღვანელებს მთავრობას ვადამდელ არჩევნებამდე.

### ბოსნია

ბოსნიაში ჩავიდა გაეროს სამშვიდობო ძალების ხელმძვანელი გენერალი მიშელ როსი. მას მიაჩნია, რომ გაჩნდა ამ რეგიონში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ჩაშლის საფრთხე. მიშელ როსი ხორვატიის პორტიდან ვერტმფრენით გადაფრინდა ქალაქ ბიჰაკში. სწორედ ამ ზონაში განახლებული ბრძოლები ეწინააღმდეგება გაეროს უშიშროების საბჭოს დადგენილებას.

### ვენესუელა

კარაკასიდან 523 კმ-ის მოშორებით სამგზავრო ავტობუსი შეეჯახა ნავთობსადენის მილს. მოხდა ძლიერი აფეთქება, რის შედეგადაც, ოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა 50 მგზავრი და დაშავდა 30. თვითმხილველთა თქმით დაღუპულია 70 ადამიანი. ოფიციალური წყაროები ვერ ასახელებენ, თუ რამდენი მგზავრი იყო ავტობუსში.

### სომხეთი

სომხეთის პრეზიდენტის ბრძანებულებით 29 დეკემბრიდან შეჩერებულია ოპოზიციური პარტიის „დაშნაკცუტუნის“ მოღვაწეობა. პრეზიდენტის ბრძანებულებაში, რომელიც წინა საღამოს გამოქვეყნდა ტელევიზიით, დაშნაკებს ბრალი ედებათ იატაკქვეშა ტერორისტული ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში, პოლიტიკურ მკვლელობებში, ნარკობიზნესში და სხვა სამართალდარღვევებში.

### აშშ

ხუთშაბათს ამერიკის პრეზიდენტი ბილ კლინტონი დათანხმდა, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის ჯეიმს ვულსის გადადგომას, რომელმაც თავის მოქმედება კერძო ბიზნესში დაბრუნებითა და ოჯახისთვის მეტი დროის დათმობის სურვილით ახსნა. პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეფს „ცივი ომის დამთავრების შემდეგ“ ამერიკის დაზვერვის რეორგანიზაციაში დახმარებისთვის.

### კსდრ

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოაგდეს ამერიკული ვერტმფრენი, რომელსაც მართავდა პილოტი ბობი ჰოლი. მან აღიარა, რომ 1994 წლის ნოემბერში იგი საჰაერო დაზვერვას აწარმოებდა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ. მფრინავმა წერილობითი მოინანია და ითხოვა, გულმოწყალედ მოეპყრობოდნენ.

აშშ-ს პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა კსდრ-ს ხელისუფლებას მოსთხოვა ცოცხლად გადარჩენილი ბობი ჰოლის „დაუყოვნებლივ განთავისუფლება“, რაზეც ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ საპასუხო მოთხოვნა წაუყენა აშშ-ს ადმინისტრაციას — მან უნდა აღიაროს, რომ კოპტერი სადაზვერვო დავალებას ასრულებდა.

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| ბერლინი +12 | ლონდონი +12 | სან-ფრანცისკო +19 |
| ბუენოს-აირესი +27 | მადრიდი +11 | სტოკჰოლმი +6 |
| დუბლინი +3 | ნიუ-იორკი +6 | სიდნეი +31 |
| ჟენევა +4 | ოსლო +4 | ტოკიო +12 |
| ჰელსინკი 0 | პარიზი +12 | ვენა +2 |
| იერუსალიმი +7 | რომი +17 | |

## მოზაიკა

ბრიტანეთის სატელეფონო კომპანია „ფონ ჰოგსმა“ შობის დღეს გამოაცხადა, რომ აბონენტებს უფლება ეძლეოდათ, 24 საათის განმავლობაში უფასოდ ესარგებლათ ტელეფონით. მაგრამ სატელეფონო კომპანიის მესვეურნი ხალხის დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ. აბონენტების აზრით, ამ დღეებში სატელეფონო ხაზების ძლიერი გადატვირთვა მოხდებოდა, რასაც ხაზების დაზიანება მოჰყვებოდა.

\+ + +

მომავალი წლის 1 აპრილიდან ევროდისნეის ბილეთების ფასი 22 პროცენტით შემცირდება. ეს განპირობებულია [illegible] დამთვალიერების მსურველთა გაზრდის ოდენობით.

CNN-ის ცნობით, დამთვალიერებელთა რიცხვი მკვეთრად მოიმატებს, რადგან ბილეთის ფასი — 55 ფრანკი — საკმაოდ მცირე თანხაა იმ სიამოვნების სანაცვლოდ, რასაც პარკში ვიზიტის შედეგად თვით ყველაზე სკეპტიკურად განწყობილი დამთვალიერებელიც კი მიიღებს.

\+ + +

ახალ ვიდეოფილმებს შორისაა ფილმი „პლანეტები“, რომელშიც პოლ და იზაბელ დოკენჰაუზები და ბრაიან ორსერი მონაწილეობენ.

ფილმში გამოყენებულია პლანეტარული სისტემის მითოლოგიით შთაგონებული გუსტავ ჰოლცის მუსიკა. დოკენჰაუზების მესანიშნავ წყვილს და ყოფილ ოლიმპიურ ჩემპიონს ბრაიან ორსერს გვერდს უმშვენებს სინქრონული ცურვის ჯგუფი მონრეალიდან. ფილმში ყინულზე ცეკვების გამოყენებით შექმნილია თვალწარმტაცი წარმოდგენა.

\+ + +

მალე რუსეთში შემოვა ამ ქვეყნის ბაზრისთვის პრინციპულად ახალი სასმელი — საბავშვო შამპანური, რომლითაც მოზარდები შეხვდებიან შობასა და ახალ წელს. სასმელს „PICCOLO“ ჰქვია. იგი ტკბილ შამპანურს მიეკუთვნება და პოლონეთის ქარხანაში მზადდება. იტალიური გაფორმება იმაზე მიუთითებს, რომ ქარხანა იტალიური დანადგარებით მუშაობს. შამპანური ჩამოსხმულია ფირმის 0,75 ლიტრის ტევადობის ბოთლებში თავზე ტრადიციული ფოლგით. ეს პატარა მომხმარებელს საშუალებას აძლევს, თავი უფროსად იგრძნოს.

სასმელს საფუძვლად უდევს სხვადასხვა ხილის გაზირებული ნატურალური წვენი, მომზადების პროცესი იგივეა, რაც ჩვეულებრივი შამპანურისა. რა თქმა უნდა, „PICCOLO“ უალკოჰოლოა და შეგიძლიათ შეიგრძნოთ ოთხი სახის ხილის — მსხლის, ატმის, მაყვლისა და ვაშლის გემო.



ხსოვნა

# ქართული ფეხბურთის პატრიარქი

29 დეკემბერს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა უხუცეს მწვრთნელს, ქართული ფეხბურთის პატრიარქად აღიარებულ ბატონ ანდრო ჟორდანიას, იგი 20 წლის წინათ წავიდა ამ ქვეყნიდან და რაც ხანი გადის, სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება მისი განუზომელი წვლილი ეროვნული სპორტის განვითარებაში. ანდრო ჟორდანია ჯერ კიდევ სიცოცხლეში იქცა ლეგენდად, ადამიანად, რომელმაც ქართული სამწვრთნელო სკოლა შექმნა.

ბატონ ანდროზე მის სიცოცხლესა და სიკვდილის შემდგომ უამრავი ნარკვევი თუ საგაზეთო სტატია დაიწერა, კიდევ უფრო მეტი, ალბათ, მომავალში იხილავს დღის სინათლეს. ანდრო ჟორდანია არ განეკუთვნებოდა იმ ტიპის ადამიანებს, რომლებიც სხვების გავლენის ქვეშ იოლად ექცევიან, ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა სპორტის ადგილობრივი თუ ცენტრალური უწყებების მესვეურები ამრეზით და ერთგვარი შიშითაც უცქერდნენ; საკმარისი იყო, მისი ხელმძღვანელობით რომელიმე კლუბს პირველი მნიშვნელოვანი წარმატებები მოეპოვებინა, რომ მწვრთნელის პოსტიდან ხსნიდნენ და მუშაობის გაგრძელების საშუალებას უსპობდნენ.

მაგრამ უმადურობის ჭაობში მოხვედრილი ანდრო ჟორდანიას არასდროს დაუყრია ფარ-ხმალი, იგი ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგა — ერთი გუნდიდან წასვლის შემდეგ მეორე, სრულიად უცხო კლუბში მიდიოდა და სულ მოკლე ხანში სასწაულებრივ შედეგებს აღწევდა. ამის ძალასა და უნარს მას ფეხბურთის ფანატიკური სიყვარული ანიჭებდა.

კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ანდრო ჟორდანიას მდიდარ სპორტულ ბიოგრაფიას. თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ბატონი ანდრო ერთადერთი მწვრთნელია ქართული ფეხბურთის ისტორიაში, რომელიც სამჯერ (1945-1947, 1954 და 1959-1961 წლებში) ედგა სათავეში ჩვენი ქვეყნის უპირველეს გუნდს — თბილისის „დინამოს". გარდა ამისა, იგი სხვადასხვა დროს წვრთნიდა თბილისის „სპარტაკს", ივანოვოს „კრასნოე ზნამიას", ქუთაისის „ტორპედოსა" და ტყიბულის „მეშახტეს".

მწვრთნელის კარიერა ანდრო ჟორდანიამ 1938 წელს დაიწყო. მანამდე იგი, როგორც ფეხბურთელი, 16 წლის მანძილზე წარმატებით იცავდა თბილისის „დინამოსა" თუ სხვა საფეხბურთო გუნდების სპორტულ ღირსებას. ომის დამთავრების შემდეგ ფეხბურთელების დაჟინებული თხოვნით იგი სამუშაოდ თბილისის „დინამოში" მიიწვიეს. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა იმავე წელს მეტად წარმატებული ტურნე გამართა რუმინეთში, 1946 და 1947 წლებში სსრკ-ს პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, 1946 წელს კი თასის ფინალშიც იასპარეზა. შედეგები შთამბეჭდავი იყო და... ანდრო ჟორდანია მოხსნეს. უფროსი თაობის გულშემატკივრებს ახლაც ახსოვთ თბილისის „სპარტაკის" საკმაოდ ძლიერი და პერსპექტიული გუნდი, რომელიც ანდრო ჟორდანიამ ორ წელიწადში რესპუბლიკის პირველობიდან სსრკ-ს უმაღლეს ლიგაში გადაიყვანა. შედეგები აქაც თვალსაჩინო იყო და... გუნდიც დაშალეს.

მაგრამ ყველაზე ღირსშესანიშნავი ბატონი ანდროს კარიერაში მაინც 1959-1961 წლები იყო, როცა მან, შეიძლება თამამად ითქვას, „მკვდრეთით აღადგინა" — თბილისის „დინამო", რომელიც წლების მანძილზე ღრმა კრიზისს განიცდიდა. ზედიზედ იცვლებოდნენ მწვრთნელები, მეშვიდე ადგილზე უკეთესი შედეგი კი არა და არ ჩანდა. 1959 წელს „დინამოში" ანდრო ჟორდანია დაბრუნდა და გუნდმა იმავე წელს მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა; და რაც ყველაზე მთავარია, საკუთარი ძალა ირწმუნა. სწორედ ამ დროიდან დაიწყო ის დიდი აღმასვლა, რომელიც 1964 წლის 18 ნოემბრის ტრიუმფით დაგვირგვინდა.

მაინც, რაში მდგომარეობდა ანდრო ჟორდანიას ფენომენი?! ფეხბურთის თითოეული ნიუანსის ღრმა ცოდნასთან ერთად, იგი ფლობდა ადამიანებთან ურთიერთობის ურთულეს ხელოვნებას, იყო ბრწყინვალე ფსიქოლოგი და, რაც მთავარია, ბატონი ანდრო იყო კაცი, რომელიც არ უშინდებოდა ექსპერიმენტებს, სიახლეების დანერგვას და მათ შესრულებას თამამად ანდობდა ახალგაზრდა ფეხბურთელებს, რომელთაც თავად ეძებდა და პოულობდა საქართველოს სოფლებსა თუ ქალაქებში. ასეთი თვისებებით მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეული მწვრთნელები არიან დაჯილდოებულნი. ანდრო ჟორდანიამ აღზარდა არაერთი დიდოსტატი, რომელთაც საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი ქართულ ფეხბურთს; მათ შორის იყვნენ: ა.ლოლობერიძე, გ.ანთაძე, ა.ზაზროევი, ნ.ძიაპშიპა, ვ.მარღანია, ვ.ელოშვილი, ზ.კალოევი, შ.იამანიძე, გ.ჩოხელი, მ.მესხი, ს.კოტრიკაძე, მ.ხურცილავა და მრავალი სხვა, რომელთა მარტო გვარების ჩამოთვლაც ძალზე შორს წაგვიყვანდა.

ანდრო ჟორდანიას — მწვრთნელისა და პედაგოგის დახასიათება — მოცემული აქვს კოტე მახარაძეს თავის წიგნში „პირველი რეპორტაჟი უმიკროფონოდ": „ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება, რაც ა.ჟორდანიას ახასიათებდა როგორც მწვრთნელს, ჩემი აზრით, იყო მისი გასაოცარი უნარი გუნდის ფსიქოლოგიური მომზადებისა, რწმენის ჩანერგვისა და გამარჯვებისთვის მომართვისა. ასეთ შემთხვევაში ფეხბურთელები ლაგამმოდებულ, დარახტულ რაშებსა ჰგავდნენ. საკმარისი იყო ლაგამი ოდნავ შეეშვა და ისინიც ქარივით გაფრინდებოდნენ.

აი, სწორედ აქ მჟღავნდება ხოლმე მხედრის ოსტატობა. გამოუცდელი მხედარი ლაგამს მთლიანად მიუშვებს, ცხენს დაღლის, სიქას გააცლის და ფინიშთან ლასლასით მიიყვანს, გამოცდილი და გონიერი კი ჯერ თავს დაუჭერს, შემდეგ ნელ-ნელა თამაშ-თამაშით დაძრავს და მხოლოდ გადამწყვეტ მომენტში მიუშვებს სადავეს ბოლომდე. აი, სწორედ სადავის მარჯვედ დაჭერისა და დროზე მიშვების ოსტატობას ფლობდა ჩინებულად ანდრო ჟორდანია".



სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ავთანდილ ლოლობერიძე, ალექსანდრე კოტრიკაძე, კონსტანტინე გაგნიძე და ანდრო ჟორდანია.

როდესაც ჭაბუკი მიხეილ მესხი თბილისის „დინამოში" მიიწვიეს, გუნდში საშტატო ერთეული არ ჰყოფნიდათ, ახალგაზრდა ფეხბურთელს კი სპორტული ფორმაც მისცეს და მცირე ხელფასსაც უხდიდნენ. ეს დიდი ამბავი იყო ნორჩი სპორტსმენისთვის, მას მატერიალურად იმდენად არ უჭირდა, მაგრამ ახლა უკვე თავს დამოუკიდებელ კაცად გრძნობდა. შემდგომ გამოირკვა, რომ მისთვის საკუთარი ფორმა და ხელფასის ნაწილი თავად ანდრო ჟორდანიას დაუთმია.

და ბოლოს, მოვიტანთ ორიოდე ფრაზას ბატონი ანდროს წიგნიდან: „ძალიან ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ფეხბურთი მოგონილია მხოლოდ ღონიერი და მარდი ჭაბუკებისთვის. ნურას უკაცრავად! ფეხბურთს ინტელექტი სჭირდება. იგი არა მარტო კუნთების და ნერვების, არამედ გონების შეჯიბრებაც არის".

„როცა ახალგაზრდა ფეხბურთელის ინტერესები იზღუდება მხოლოდ საკუთარი დიდების წყურვილით, იოლი ცხოვრების საშუალებათა გამოძებნით, ეგოისტური მიდრეკილებით, ეს იწვევს მის გონებრივ შეზღუდულობასაც, რასაც აუცილებლად მოჰყვება ხოლმე თამაშის კლასის დაქვეითებაც".

ანდრო ჟორდანიას და ქართული ფეხბურთის სახელები სამუდამოდ გადაეჯაჭვა ერთმანეთს და სანამ ქართული ფეხბურთი იარსებებს, ბატონ ანდროს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. მისი სახელი უკვდავებაა.

**გოჩა საითიძე**

მოკლედ

# საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში

გუშინ სფფ-ს აღმასკომის მორიგი სხდომა გაიმართა. ჭაბუკთა შორის 1994-95 წლების პირველობის, პირველი წრისა და ცალკეული ტურნირების შედეგების შესახებ ინფორმაციით წარსდგა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რეზერვებთან მუშაობის განყოფილების უფროსი ჯუმბერ თანანაშვილი. მან აღნიშნა, რომ ზოგიერთ რეგიონში (თბილისი, რუსთავი, გორი, ზუგდიდი), მიუხედავად რესპუბლიკაში არსებული მძიმე ეკონომიური მდგომარეობისა, ბავშვთა ფეხბურთი აღმავლობის გზაზეა. მაგრამ არის რეგიონები (ჭიათურა, ტყიბული) სადაც მოზარდთა ფეხბურთის პრობლემას ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ. მიღებულ დადგენილებებში გათვალისწინებულია ღონისძიებები, რომლებიც უთუოდ ხელს შეუწყობენ მთელ რესპუბლიკაში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას.

საქართველოს ეროვნული და ოლიმპიური ნაკრები გუნდების, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩატარებული თამაშების შედეგების შესახებ ინფორმაცია გააკეთეს ნაკრები გუნდების მთავარმა მწვრთნელებმა ალექსანდრე ჩივაძემ და შოთა ჭეიშვილმა.

სხდომაზე აღმასკომის წევრთა დიდი ინტერესი და სჯა-ბაასი გამოიწვია საკითხმა საქართველოს 1994-1995 წლების VI ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრისა და ეროვნული თასის V გათამაშების მიმდინარეობისა და სამსაჯო-საინსპექციო მომსახურების შესახებ. სფფ-ს აღმასკომი დაეთანხმა მწვრთნელთა საბჭოს წინადადებას და ანდრო ჟორდანიას სახელობის პრემია მიანიჭა ბატონებს რევაზ ძოძუაშვილს („მეტალურგი") და გიოზ დარსაძეს (16 წლამდე ასაკის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი).

**სფფ-ს პრესსამსახური**

კალათბურთი

### ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთის ეროვნული ასოციაციის გუნდების მდგომარეობა 26 დეკემბრისთვის

კვირას გაიმართა შემდეგი მატჩები:
დენვერი — სიეტლი 105:96,
ჩიკაგო — ნიუ-იორკი 107:104

ატლანტის ჯგუფი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| ორლანდო | 20 | 5 | 800 |
| ნიუ-იორკი | 12 | 12 | 500 |
| ნიუ-ჯერსი | 12 | 16 | 429 |
| ბოსტონი | 10 | 15 | 400 |
| ფილადელფია | 9 | 16 | 360 |
| მაიამი | 8 | 15 | 348 |
| ვაშინგტონი | 7 | 16 | 304 |

ჩრდილო-აღმოსავლეთის ჯგუფი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| იუტა | 18 | 8 | 692 |
| ჰიუსტონი | 14 | 9 | 609 |
| სან-ანტონიო | 13 | 9 | 591 |
| დალასი | 12 | 10 | 545 |
| დენვერი | 13 | 11 | 542 |
| მინესოტა | 5 | 19 | 208 |

ცენტრალური ჯგუფი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| კლივლენდი | 17 | 8 | 680 |
| ინდიანა | 15 | 8 | 652 |
| შარლოტა | 14 | 11 | 560 |
| ჩიკაგო | 13 | 12 | 520 |
| ატლანტა | 11 | 15 | 423 |
| დეტროიტი | 9 | 14 | 391 |
| მილუოკი | 7 | 17 | 292 |

წყნარი ოკეანის ჯგუფი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| ფინიქსი | 19 | 6 | 760 |
| სიეტლი | 16 | 8 | 667 |
| ლოს-ანჯელეს ლეიკერსი | 15 | 8 | 652 |
| პორტლენდი | 12 | 10 | 545 |
| საკრამენტო | 13 | 11 | 542 |
| გოლდენ სტეიტი | 9 | 15 | 375 |

ჭადრაკი

# უძლიერესთა რეიტინგი

ფიდეს შტაბ-ბინამ გამოაქვეყნა 1995 წლის 1 იანვრისთვის მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა რეიტინგ-ლისტი.

უძლიერესთა სიას სათავეში უდგას, რეიტინგ-ლისტში ფიდეს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით დაბრუნებული, პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონად აღიარებული გ.კასპაროვი.

შეგახსენებთ, რომ იგი წელიწადნახევრის წინ უკანონოდ იქნა გარიცხული მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა კლასიფიკაციიდან.

ქალთა სიაში პირველობას 18 წლის უნგრელი მოჭადრაკე ი.პოლგარი ინარჩუნებს.

გაგაცნობთ მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა სიას (ფრჩხილებში მითითებულია რეიტინგ-ლისტში არსებული განსხვავება 1994 წლის 1 ივლისის, ხოლო გ.კასპაროვის შემთხვევაში — 1993 წლის 1 იანვრის მონაცემებთან შედარებით):

ვაჟები:

1. გ.კასპაროვი (რუსეთი) — 2805 ( 5)
2. ა.კარპოვი (რუსეთი) — 2765 (-15)
3. ვ.ანანდი (ინდოეთი) — 2715 ( 5)
4. ვ.კრამნიკი (რუსეთი) — 2715 (-10)
5. ვ.სოლოვი (რუსეთი) — 2715 ( 5)

უძლიერესთა სიაში ყველაზე მეტი პროგრესი განიცადეს: ბ.გელფანდისა ( 0) და გ.კამსკის ( 5) მაჩვენებლებმა, ხოლო წარუმატებლობა. ა.კარპოვისა (-15) და ვ.კრამნიკის (-10) მაჩვენებლებმა.

ქალები:

1. ი.პოლგარი (უნგრეთი) — 2630 (0)
2. სიე ჟუნი (ჩინეთი) — 2555 ( 40)
3. ჟ. პოლგარი (უნგრეთი) — 2545 (-5)
4. მ.ჩიბურდანიძე (საქართველო) — 2545 (-10)
5. პ.კრამლინგი (შვედეთი) — 2520 (-5)

GEORGIAN
MARITIME
BANK



საქართველოს
საზღვაო
ბანკი

საქართველოს საზღვაო სააქციო კომერციული ბანკი
ბათუმი, 384517
გოგებაშვილის №60.
ტ.: 3-54-69, 2-00-50
ფაქსი: 873 1405477
ტელექსი: 412616 GESC SU

THE GEORGIAN MARITIME BANK
60, Gogebashvili
Batumi, 384517
Republic of Georgia
Phone: 2-00-50, 3-54-69
Fax: (873) 1405477
Telex: 412616

საზღვაო ბანკი
მომავლის ბანკია

მომსახურება
მინიმალური ტარიფებით

საერთაშორისო
საბანკო ოპერაციები
სამი საბანკო დღის ვადაში

ვალუტის კონვერტაცია

ნაღდი ფულის ინკასაცია

გაცვეთილი
ფულადი ნიშნების შესყიდვა

„კავკასიონი" გაზეთის გამავრცელებლად იწვევს
მოსწავლეებს, სტუდენტებს,
ყოფილ ფოსტალიონებს და
ყველა დაინტერესებულ პირს,
მათ შორის, რაიონების წარმომადგენლებს,
რომელთაც საშუალება მიეცემათ, გამოიმუშაონ
მაღალი ანაზღაურება.

დაგვირეკეთ: 29-48-05;
მობრძანდით: პეტრიაშვილის 7.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გრიგოლ სიმონის ძე
ტატიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სარედაქციო კოლეგია:

ვასილ მაღლაფერიძე (სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე), მამუკა ფარუაშვილი (მთავარი რედაქტორი), პაატა ვეშაპიძე (პოლიტიკა), გივი ბოლოთაშვილი (უცხოეთი), ვახტანგ როდონაია („არილი"), დავით კახაბერი („თვალსაწიერი"), შადიმან შამანაძე (პუბლიცისტიკა), ვახტანგ სალია (გაზეთის დირექტორი), ბონდო მძინარაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი).

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის № 7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 29-48-05.